

შპს Allmarket.ge

მ ს ს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ძირითადი საშუალებები	16
5. არამატერიალური აქტივები	18
6. გადახდილი ავანსები	18
7. მარაგები	18
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	19
9. მიღებული სესხები	19
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	20
11. საგადასახადო ვალდებულება	20
12. გაყიდვისა და მიწოდების სხვა ხარჯები	20
13. ადინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები	20
14. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	21
15. სხვა არასაოპერაციო ხარჯი.....	21
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
17. ფუნქციონირებადი საწარმო	22
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები	22
19. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს Allmarket.ge-ის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს Allmarket.ge-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს Allmarket.ge-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლებისათვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 1 084 198 და 596 689 ლარით. ჩვენ არ დავსწრებივართ 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას, რადგან ინვენტარიზაციის ჩატარების მომენტისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით მოხერხდა შესაბამისი თარიღების მდგომარეობით ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებები წარდგენილ მარაგებთან, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ შესაბამის ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს Allmarket.ge-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს Allmarket.ge-ის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება აუდიტებული არ არის.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს შპს Allmarket.ge -ის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს Allmarket.ge -ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს

გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია შპს Allmarket.ge -ის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია აღნიშნული დასკვნა გაუგზავნოს დამფუძნებელს ან/და განიხილოს ის სუბიექტის შიგნით შექმნილი შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის პორტალზე. ასეთ შემთხვევაშიც კი, ჩვენი აუდიტის დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ დამკვეთის შიდა მოხმარებისათვის და მხოლოდ აღნიშნულ აბზაცში აღწერილ ფარგლებში.

ამასთანავე აღნიშნული აუდიტორის დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული აუდიტორის დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე, რომლისთვისაც აღნიშნული აუდიტორის დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე (მათ შორის მისი შესაბამის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პორტალზე ატვირთვისა და გასაჯაროების) გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი/კონკრეტული პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-387992)

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო
27 სექტემბერი, 2022 წელი

გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება


აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია შპს Allmarket.ge -ის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია აღნიშნული დასკვნა გაუზიაროს დამფუძნებელს ან/და განიხილოს ის სუბიექტის შიგნით შექმნილი შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტრებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის პორტალზე. ასეთ შემთხვევაშიც კი, ჩვენი აუდიტის დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ დამკვეთის შიდა მოხმარებისათვის და მხოლოდ აღნიშნულ აბზაცში აღწერილ ფარგლებში.

ამასთანავე აღნიშნული აუდიტორის დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული აუდიტორის დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე, რომლისთვისაც აღნიშნული აუდიტორის დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე (მათ შორის მისი შესაბამის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პორტალზე ატვირთვისა და გასაჯაროების) გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი/კონკრეტული პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-387992)

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო
27 სექტემბერი, 2022 წელი

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	234,514	225,234
არამატერიალური აქტივები	5	8,980	11,165
სულ გრძელვადიანი აქტივები		243,494	236,399
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	6	234,270	325,987
მარაგები	7	1,084,198	596,689
მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება		221,406	174,886
ფული და ფულის ექვივალენტები	8	258,398	95,626
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,798,272	1,193,188
სულ აქტივები		2,041,766	1,429,587
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		31,630	31,630
გაუნაწილებელი მოგება		1,574,162	1,183,866
სულ კაპიტალი		1,605,792	1,215,496
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	17,743	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,743	-
მიღებული სესხები	9	66,679	-
საგადასახადო ვალდებულება	11	51,459	21,979
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	300,093	192,112
სულ მიმდინარე ვალდებულებები		418,231	214,091
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,041,766	1,429,587

დირექტორი
ქეთევან კაცაძე

მთავარი ბუღალტერი
საჩინო ვარდოსანიძე

**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება**
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან		5,986,091	3,622,833
რეალიზაციის თვითღირებულება		(4,795,510)	(2,840,208)
საერთო მოგება		1,190,581	782,625
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	12	(324,028)	(259,774)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(76,830)	(66,390)
საოპერაციო მოგება		789,723	456,461
ფინანსური ხარჯი		(9,287)	(1,514)
ფინანსური შემოსავალი		738	817
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი		(4,930)	5,987
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14	22,235	30,013
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	15	(18,771)	(1,955)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება		-	15,654
მოგება დაბეგვრამდე		779,708	505,464
მოგების გადასახადის ხარჯი		(58,412)	(26,889)
წმინდა მოგება		721,296	478,575

დირექტორი
ქეთევან კაცაძე

მთავარი ბუღალტერი
საჩინო ვარდოსანიძე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2019	31,630	857,659	889,289
წლის წმინდა მოგება	-	478,575	478,575
გამოცხადებული დივიდენდი	-	(152,368)	(152,368)
31 დეკემბერი 2020	31,630	1,183,866	1,215,496
წლის წმინდა მოგება	-	721,296	721,296
გამოცხადებული დივიდენდი	-	(331,000)	(331,000)
31 დეკემბერი 2021	31,630	1,574,162	1,605,792

დირექტორი
ქეთევან კაცაძე

მთავარი ბუღალტერი
საჩინო ვარდოსანიძე

**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	779,708	505,464
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	22,355	22,993
ძირითადი საშუალების გასვლა	157	56,892
მოთხოვნების გაუფასურება	17,980	-
ფინანსური შემოსავალი	(738)	(817)
ფინანსური ხარჯები	9,287	1,514
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	4,930	(5,987)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	833,679	580,059
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(487,509)	(134,133)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	27,405	(140,430)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	112,300	(68,678)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	29,480	28,574
გადახდილი მოგების გადასახადი	(58,412)	(26,889)
მიღებული პროცენტი	738	817
გადახდილი პროცენტები	(9,287)	(1,514)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	448,394	237,806
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(29,606)	(62,612)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(29,606)	(62,612)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(331,000)	(152,368)
სესხის აღება	143,000	-
სესხის გადახდა	(58,578)	(41,835)
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(246,578)	(194,203)
ფულადი სახსრების (ზრდა)/შემცირება	172,210	(19,011)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	95,626	106,952
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(9,438)	7,685
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	258,398	95,626

დირექტორი
ქეთევან კაცაძე

მთავარი ბუღალტერი
საჩინო ვარდოსანიძე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	234,514	225,234
არამატერიალური აქტივები	5	8,980	11,165
სულ გრძელვადიანი აქტივები		243,494	236,399
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	6	234,270	325,987
მარაგები	7	1,084,198	596,689
მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება		221,406	174,886
ფული და ფულის ექვივალენტები	8	258,398	95,626
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,798,272	1,193,188
სულ აქტივები		2,041,766	1,429,587
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		31,630	31,630
გაუნაწილებელი მოგება		1,574,162	1,183,866
სულ კაპიტალი		1,605,792	1,215,496
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	17,743	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,743	-
მიღებული სესხები	9	66,679	-
საგადასახადო ვალდებულება	11	51,459	21,979
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	300,093	192,112
სულ მიმდინარე ვალდებულებები		418,231	214,091
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,041,766	1,429,587

დირექტორი
ქეთევან კაცაძე



მთავარი ბუღალტერი
საჩინო ვარდოსანიძე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან		5,986,091	3,622,833
რეალიზაციის თვითღირებულება		(4,795,510)	(2,840,208)
საერთო მოგება		1,190,581	782,625
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	12	(324,028)	(259,774)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(76,830)	(66,390)
საოპერაციო მოგება		789,723	456,461
ფინანსური ხარჯი		(9,287)	(1,514)
ფინანსური შემოსავალი		738	817
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი		(4,930)	5,987
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14	22,235	30,013
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	15	(18,771)	(1,955)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება		-	15,654
მოგება დაბეგვრამდე		779,708	505,464
მოგების გადასახადის ხარჯი		(58,412)	(26,889)
წმინდა მოგება		721,296	478,575

დირექტორი
ქეთევან კაცაძე



მთავარი ბუღალტერი
საჩინო ვარდოსანიძე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2019	31,630	857,659	889,289
წლის წმინდა მოგება	-	478,575	478,575
გამოცხადებული დივიდენდი	-	(152,368)	(152,368)
31 დეკემბერი 2020	31,630	1,183,866	1,215,496
წლის წმინდა მოგება	-	721,296	721,296
გამოცხადებული დივიდენდი	-	(331,000)	(331,000)
31 დეკემბერი 2021	31,630	1,574,162	1,605,792

დირექტორი
ქეთევან კაცაძე



მთავარი ბუღალტერი
საჩინო ვარდოსანიძე

**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	779,708	505,464
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	22,355	22,993
ძირითადი საშუალების გასვლა	157	56,892
მოთხოვნების გაუფასურება	17,980	-
ფინანსური შემოსავალი	(738)	(817)
ფინანსური ხარჯები	9,287	1,514
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	4,930	(5,987)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	833,679	580,059
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(487,509)	(134,133)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	27,405	(140,430)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	112,300	(68,678)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	29,480	28,574
გადახდილი მოგების გადასახადი	(58,412)	(26,889)
მიღებული პროცენტი	738	817
გადახდილი პროცენტები	(9,287)	(1,514)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	448,394	237,806
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(29,606)	(62,612)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(29,606)	(62,612)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(331,000)	(152,368)
სესხის აღება	143,000	-
სესხის გადახდა	(58,578)	(41,835)
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(246,578)	(194,203)
ფულადი სახსრების (ზრდა)/შემცირება	172,210	(19,011)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	95,626	106,952
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(9,438)	7,685
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	258,398	95,626

დირექტორი
ქეთევან კაცაძე



მთავარი ბუღალტერი
საჩინო ვარდოსანიძე

ს. ვარდოსანიძე

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Allmarket.ge, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404431432, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა ტექნიკით, ტექნიკის აქსესუარებითა და სხვა პროდუქციით, ძირითადად ონლაინ პლატფორმით. კომპანია დაფუძნდა 2012 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი და დირექტორი, დაფუძნებიდან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე არის ქეთევან კაცაძე, პირადი ნომერი: 01008041176.

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, დიმიტრი ყიფიანის ქ., N 29

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა #16, 0180.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება საწარმოს ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისათვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საწარმო იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, საწარმო ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა საწარმოს/კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება საწარმოს მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც საწარმოს მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

საწარმო	სასარგებლო მომსახურების ვადები
ოფისის აღჭურვილობა	5-9 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5-9 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-14 წელი
შენობა	20-21 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. საწარმოს არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება გაყიდვების საიტისგან და სააღრიცხვო პროგრამისგან, რომელთა სასარგებლო მომსახურეობის ვადა შეფასებულია 6-8 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

საწარმოში მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება FIFO მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოძწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მიყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში.

სამშენებლო ხელშეკრულებები - თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმო სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო საწარმომ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც საწარმო მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

საწარმო, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

საწარმო, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ საწარმოს მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- საწარმოს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

საწარმო ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, საწარმო აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმოს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, საწარმოს მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა საწარმოს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებებისა ყველა საწარმოსათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებები 2021, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენობა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	200,796	12,411	27,585	48,810	289,602
შემოსვლა	-	72	6,084	54,888	61,044
გასვლა/ კორექტირება	-	-	(2,004)	(54,888)	(56,892)
31 დეკემბერი 2020	200,796	12,483	31,665	48,810	293,754
შემოსვლა	6,646	1,890	2,713	18,356	29,605
გასვლა/ კორექტირება	-	-	(331)	-	(331)
31 დეკემბერი 2021	207,442	14,373	34,047	67,166	323,028
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2019	30,775	5,384	8,764	2,789	47,712
პერიოდის ცვეთა	10,040	1,381	3,724	5,663	20,808
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	40,815	6,765	12,488	8,452	68,520
პერიოდის ცვეთა	10,325	1,345	3,841	4,658	20,169
გასვლა	-	-	(174)	-	(174)
31 დეკემბერი 2021	51,140	8,110	16,155	13,110	88,515
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	170,021	7,027	18,821	46,021	241,890
31 დეკემბერი 2020	159,981	5,718	19,177	40,358	225,234
31 დეკემბერი 2021	156,302	6,263	17,892	54,056	234,514

საწარმოს მფლობელობაში არსებული შენობა (სავაჭრო ფართი), რომლის წმინდა საბალანსო ღირებულებაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 156 302 ლარი, გამოყენებულია სესხის უზრუნველყოფად ბანკის მიერ.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

	ვებ-გვერდი	სააღრიცხვო პროგრამები	სულ არამატერიალური აქტივები
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	12,500	2,390	14,890
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	12,500	2,390	14,890
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	12,500	2,390	14,890
ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2019	-	1,540	1,540
პერიოდის ამორტიზაცია	1,875	310	2,185
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	1,875	1,850	3,725
პერიოდის ამორტიზაცია	1,875	310	2,185
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	3,750	2,160	5,910
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	12,500	850	13,350
31 დეკემბერი 2020	10,625	540	11,165
31 დეკემბერი 2021	8,750	230	8,980

6. გადახდილი ავანსები

	31.12.2021	31.12.2020
უცხოელ მომწოდებლებზე მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები	234,270	325,987
სულ	234,270	325,987

7. მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მარაგები - სხვადასხვა ტექნიკა	1,084,198	596,689
სულ	1,084,198	596,689

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

პროდუქციის მიხედვით	2021	2020
პროექტორები	120,100	139,149
პროექტორის ეკრანები	96,263	76,193
რობოტი მტვერსასრუტები	193,527	2,214
დინამიკები	132,630	14,250
ტელევიზორისა და სხვა საკიდები	87,791	21,939
მინის საწმენდი რობოტები	25,282	33,678
დამტენები, კაბელები, დამაგრძელებლები,	82,154	74,053
პრინტერები	18,822	18,640
ყურსასმენები	17,947	14,026
ნოუტბუქები	27,365	-
მონიტორები	16,755	3,008
სათამაშოები	12,210	-
სხვადასხვა	253,352	199,539
სულ	1,084,198	596,689

8. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულს ეროვნულ ვალუტაში. ფული და ფულის ექვივალენტები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	12,827	10,931
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	235,970	83,107
ექვიპირინგი	9,601	1,588
სულ	258,398	95,626

9. მიღებული სესხები

	31.12.2021	31.12.2020
მიკრო ბიზნეს სესხი ბანკიდან	84,422	-
სულ	84,422	-

სესხი აღებულია ლარში. გაცემის თარიღია 2021 წლის 24 მარტი, სრულად დაფარვის თარიღია - 2023 წლის 19 მარტი. სესხი გაცემულია 130 000 ლარის ოდენობით, შესაბამისი დაფარვა განხორციელებულია 2021 წლის განმავლობაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია 11%. სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენს შპს Allmarket.ge-ს უძრავი ქონება. იხ. შენიშვნა 4.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	291,364	179,710
მიღებული ავანსები	8,730	12,402
სულ	300,093	192,112

11. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება წლის ბოლოს წარმოადგენს ყველა გადასახადისა და მთლიანი გადახდების ნეტო შედეგს. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ის ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადისგან (დაახლ. 41 000 ლარი), გაცემულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადისგან (დაახლ. 13 000 ლარი) და წინასწარი გადახდებისგან.

12. გაყიდვისა და მიწოდების სხვა ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების სხვა ხარჯები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	188,536	125,695
რეკლამის მომსახურების ხარჯი	33,083	41,963
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	21,745	15,095
ძირითადი საშუალებების ცვეთა	14,675	14,155
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	1,875	1,875
იჯარის ხარჯი	4,948	7,990
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	3,283	2,705
ტერმინალით გადახდების საკომისიო	17,002	14,013
პროდუქციის მოთხოვნის ანალიზისა და კონსულტაციის ხარჯი	22,628	19,133
ტენდერებზე რეგისტრაციის საკომისიო	830	901
დაზღვევის ხარჯი	1,546	2,373
გაყიდვისა და მიწოდების სხვა ხარჯები	13,877	13,876
სულ	324,028	259,774

13. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	62,616	46,661
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5,496	6,653
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	310	310
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	6,081	5,069
მივლინების ხარჯები	-	5,341
საგადასახადო ხარჯი	2,327	2,356
სულ	76,830	66,390

14. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	72	1,144
მიღებული არასასაქონლო ფასდათმობა და ვალის პატიება	22,163	28,869
სულ	22,235	30,013

15. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2021	2020
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	156	1,196
მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ჩამოწერა	17,980	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	635	759
სულ	18,771	1,955

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2021	მესაკუთრე- მმართველი	სხვა დაკავშ. მხარე	სხვა ხელმძღვა ნელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	1,185	-	-	1,185
საიჯარო მომსახურების მიღება	-	4,800	148	4,948
ხელფასები და სხვა სარგებელი	29,505	10,313	32,591	72,409
სესხის აღება	-	-	13,000	13,000
სესხის დაფარვა	-	-	13,000	13,000
ფინანსური ხარჯი	-	-	366	366
2020	მესაკუთრე- მმართველი	სხვა დაკავშ. მხარე	სხვა ხელმძღვა ნელობა	სულ
საიჯარო მომსახურების მიღება	-	4,800	-	4,800
ხელფასები და სხვა სარგებელი	24,393	10,163	20,940	55,496

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის აღნაზღაურებელი ნაშთები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობს.

17. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. კომპანიის საქმიანობას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში საფრთხე არ ემუქრება.

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შპს Allmarket.ge-მ სესხი აიღო აპრილში 250 000 ლარის ოდენობით ბანკისგან და 51 000 ლარის ოდენობით დაკავშირებული პირისგან. აგვისტოში ორივე სესხი სრულად დააბრუნა. 2021 წლის ბოლოს არსებული სესხის ნაშთის დაფარვა მიმდინარეობს გრაფიკის მიხედვით.

2021 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე დამფუძნებელზე გაცემულია დივიდენდი ჯამურად 148 421 ლარის ოდენობით

19. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღია 2022 წლის 27 სექტემბერი.